



თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა კურსების კატალოგი

რესურსების მართვა

მიზანი:

კურსის მიზანია თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის წარმომადგენლებს გააცნოს თავდაცვის რესურსების დაგეგმვისა და მართვის ძირითადი მიდგომები.

განსახილველი საკითხები:

- თავდაცვის რესურსების მართვის სამართლებრივი და კონცეპტუალური ბაზა;
- თავდაცვის ეკონომიკის საფუძვლები; დაგეგმვის, პროგრამირებისა და ბიუჯეტირების სისტემა (PPBS);
- თავდაცვის რესურსების დაგეგმვა; თავდაცვის პროგრამებისა და პროექტების მართვა; თავდაცვის ბიუჯეტირება;
- თავდაცვის სტრატეგიული შესყიდვები;
- თავდაცვის ინდუსტრია, რისკების მართვა რესურსების მართვის პროცესში;
- თავდაცვის რესურსების დაგეგმვისა და მართვის გამოწვევები, ძალთა დაგეგმვა, თავდაცვის შესაძლებლობების ანალიზი DOTMLPF ინსტრუმენტის გამოყენებით,
- ლოჯისტიკის მართვა, სასიცოცხლო ციკლის მართვა; Case-study.

სასწავლო ამოცანები:

- თავდაცვის რესურსების მართვის ძირითად საკითხების ანალიზი;
- თავდაცვის დაგეგმვის დოკუმენტების ანალიზზე დაყრდნობით, თავდაცვის პროგრამების შემუშავება და საბიუჯეტო ღონისძიებების პრიორიტეტიზაციის მეთოდოლოგიის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - რომლის საფუძველზეც შემდგომ განაწილდება თავდაცვის სამინისტროსთვის გამოყოფილი ასიგნებები.

კურსის შედეგად განვითარებული უნარები:

- დისკუსიაში და არგუმენტირებულად მსჯელობის უნარი - თავდაცვის რესურსების მართვის საკითხებთან დაკავშირებით;
- მიღებულ ცოდნას ორგანიზაციული დაგეგმვის, პროგრამირებისა და ბიუჯეტირების კუთხით პრაქტიკული უნარების განვითარება;
- გადაწყვეტილების მიღების უნარი;
- ანალიტიკურ აზროვნების უნარები;

სწავლების ფორმა: პროგრამა მოიცავს სალექციო კურსს, ტრენინგებსა და სემინარებს.

სწავლების მეთოდოლოგია :

- სტუდენტებთან შეხვედრები
- გონებრივი იერიში
- შემთხვევების ანალიზი
- დისკუსია
- სავარჯიშოები
- მოწვეული სპიკერები
- ჰიბრიდული სწავლება
- სალექციო კურსი
- შემაჯამებელი დისკუსია
- პრეზენტაციები
- დამატებითი საკითხავი მასალები

სამიზნე აუდიტორია: თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის სპეციალისტები, შუა რგოლის მენეჯერები, სარდლობებსა და ბრიგადებში რესურსების მართვის საკითხებზე მომუშავე პერსონალი.

კურსის ხანგრძლივობა: 4 დღე.

მონაწილეთა რაოდენობა: 15-20.

სწავლების ენა: ქართული/ინგლისური.

კოდი: DRM-2021.